



# מִנּוֹרָה

გამოცის  
1993 წლის  
მარტიდან

დამოუკიდებელი ცხრაული გაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

## מִנּוֹרָה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

აგვისტო  
აპი  
№8 (456)  
2019წ.  
(57796.)

”מִבְּרוּהָ“  
עִתּוֹן יְהוּדִי  
בָּגּוּרְגִּיה

### გადარჩენილი სული

9 აბი — გრიგორიანული კალენდრით წელს 11 სექტემბერი — ებრაულობისათვის გლო-  
ვის დღეა. ამ დღეებში ბაბილონელმა, რომაელმა, ბიზანტიელმა, ოსმალო თუ სხვა ჯურის  
დამცყრობებმა დაანგრიეს, დალენეს იერუსალიმი. რომაელთა წინააღმდეგ ბარ კოხბას  
აჯანყების შემდეგ იერუსალიმი ისე დაანგრიეს, ისე მოსეს, ნაქალაქარზე ტურა ჩხაოდაო,  
წერს მემატიანე.

ქართველი ებრაულობა, ამ ზოგადეროვნულ ტრაგიკულ დღეს პირად ტრაგედიასთან აი-  
გივებს და საუკუნეებია, 9აბი ნათესავ-ახლობელთა საფლავებთან მიდის. ძვირფასი ადამი-  
ანების საფლავების მონაბულებით იოხებს ზოგადეროვნულ ტკივილს.

11 აგვისტოს თბილისის და არა მხოლოდ თბილისის, ებრაელთა სასაფლაოზე ბევრი ადამი-  
ანი მივიდა, მიცვალებულის სულის საოხი ტექსტები წაიკითხა.

საგულისხმოა, რომ საქართველოს დაბა-ქალაქებში ახლობელთა საფლავების მოსანახ-  
ულებლად უცხოეთის ქვეყნებიდან ჩამოსული ქართველი ებრაელებიც იყვნენ. მათ ათასო-  
ბით კილომეტრი გამოიარეს, რომ ძვირფას საფლავებს საოხი სიტყვები ჩასძახონ და ტე-  
ქსტი წაუკითხონ. უმეტესწილად იყვნენ ისრაელიდან, რუსეთიდან ჩამოსული ქართველი  
ებრაელები, თუმცა, ევროპის ქალაქებიდანც ჩამოვიდნენ.

ასე რომ, დაანგრიეს შენობა-ნაგებობები, ებრაული სული კი გადარჩა.

დაანგრეულის კვლავ აშენებას და ათასგზის უკეთ ასაშენებლად, ის გადარჩენილი სული  
თავის საქმეს როგორც აკეთებს, ამას დღევანდელი ისრაელის მხილველიც ხედავს.



7 აგვისტოს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი მსოფლიოს ქა-  
რთველ ქაბრაელთა მთავარ რაბინს იაკობ გაგულაშვილს და მის თანმხელე პირებს  
შეხვდა.

მისმა უწმინდესობამ ქართველებსა და ებრაელებს შორის არსებულ მრავალსაუ-  
კუნოვან და სანიმუშო ძმობას გაუსვაზაზი. მსოფლიოს ქართველ ებრაელთა მთა-  
ვარმა რაბინმა აღნიშნა, რომ დამკვიდრებული მოსაზრების თანახმად, ქართველებსა  
და ებრაელებს შორის ისტორიული მეგო-  
გრობა 26 საუკუნის წინათ დაიწყო, თუმცა, მისი აზრით და ებრაულ წმინდა წიგნებზე  
დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ ამ ურთიერთობას გაცილებით ადრე ჩაეყარა  
საფუძველი და თავის მხრივ დასძინა, რომ ყველაფერს გააკეთებს ჩვენს შორის არ-  
სებული კავშირის განმტკიცებისთვის. მან ხაზი გაუსვა კათოლიკოს-პატრიარქ-  
ის გამორჩეულ მოღვაწეობას, მადლობა გადაუხადა მიღებისათვის და ჯანმრთ-  
ელობა და დღეგრძელობა უსურვა.



— მუდამ გახსოვდეთ, სხვებსაც უამბეთ  
გულადი კაცის — შაბთაი ელაშვილისა  
და მისი ერთგული თანამებრძოლების

ამბავი. ისინი ერთმანეთის გვერდში  
დგომით მიდიოდნენ დიადი მიზნისაკენ —  
თავის ერთან შესაერთებლად.  
დ-რი

**მიხეილ მირილაშვილი,  
ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის  
პრეზიდენტი  
(იხ.მე 2-3-4-5 გვერდები)**



### დერეს შალომ, ლაშა!

ისრაელში საქართველოს საგანგებო და სრულუ-  
ფლებიან ელჩად პრეზიდენტის ადმინისტრაციის ყო-  
ფილი ხელმძღვანელი, ლაშა უვანია დაინიშნა. ამის შესახებ ინფორმაციას საგარეო საქმეთა სამინისტრო  
ავრცელებს.

მათივე ცნობით, ლაშა უვანიას აქვს მდიდარი  
დაპლომატიური გამოცდილება.

„ლაშა უვანიას აქვს სახელმიწოდო სტრუქტურებში  
მუშაობის მდიდარი გამოცდილება. 2018 წლის დეკემბ-  
რიდან 2019 წლის მაისამდე მუშაობდა საქართველოს  
პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსად. 2008-2009  
წლებში გახლდათ საქართველოს ეკონომიკური გან-  
ვითარების მინისტრი, 2002-2003 წლებში გახლდათ  
საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე, 2002-

2003 წლებში ანტიორუფციული საბჭოს წევრი. 2008  
წელს გახლდათ საქართველოს პარლამენტის წევრი,  
საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე.

2009-2018 წლებში იყო საკონსულტაციო და ინვეს-  
ტიციების მართვის კომპანია „Global Uni Group“, დამ-  
ფუძებელი.

2010 წლიდან დღემდე არის სრულიად საქართ-  
ველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმინდესი და უნ-  
ერარესი ილია მეორეს კულტურის, მეცნიერებისა და  
სულიერების აღორძინებისა და განვითარების საერ-

თაშორისო ფონდის მთავარი მენეჯერი.

2004 წელს მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუ-  
ფლებიანი ელჩის დაპლომატიური რანგი“, — აღნიშნუ-  
ლია ინფორმაციაში.

**რედაქციის განცხადება:** ის. ვინც ივლის-აგვისტოს  
მიჯნაზე თვალს ადვენტდა სოციალურ ქსელს,  
დანახავდა, რაოდენ ბევრი ადამიანი გამოეხმაურა  
საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებას  
ლაშა უვანიას სამსახურებრივი საქმიანობა გაე-  
გრძელებინა ისრაელში საგანგებო და სრულუფლე-  
ბიანი ელჩის რანგში — ლაშას ამ დანიშნას ულო-  
ცავენ ქართველი და ებრაელი. ისრაელისა და  
საქართველოს მოქალაქენი გამოხატვენ დიდ სიხა-  
რული მიმის გამო, რომ ლაშა უვანია იწერა საქართ-  
ველოს სახელმწიფოებრივი მესიტყველი ისრაელში.

როთ მოიპოვა ლაშა უვანიამ ასეთი საერთო ჟამინი-  
სცემა და პოპულარობა?

ლაშა უვანია ისრაელში საქართველოს დიპლო-  
მატიურ წარმომადგენლობათა პირველ ნაკადს  
განეკუთვნება-ჯერ კიდევ აკადემიკოს რევაზ  
გაჩეჩილაძის ელჩობისას მუშაობდა საელჩოში და  
არაერთხელ ცყოფილვართ მონებე, რაოდ ლაშა უვანია იწერა საქართ-

ვეს კარიბის ებრაელები, ძირდები ისრაელები-  
და მოგვიანებით კი, 2005 წელს სრულუფლებიან ელჩად  
დაინიშნა. ელჩობის წლებში ისრაელის სახელმწი-  
ფოებრივი სტრუქტურების, სხვადასხვა პარტიების,

მათი ლიდერების პატივისცემა ყველას მიმართ გა-  
მოჩენლი ყურადღებით დაიმსახურა. ამ გარემო-  
ბამაც შეუწყო ხელი იმას, რომ ლაშა უვანიამ პევრი  
რამ გააკეთა ამ სარბიელზე.

გაზირ მენორას“ რედაქცია მიესალმება ლაშა  
უვანიას ისრაელში საქართველოს საგანგებო  
და სრულუფლებიან აღმართობენ, აღმად მეორედ დანიშვნას.  
გამოვთქმა მომავალი წლებისას, რომ იგი კვლავაც მისთვის  
ჩვეული ენთუზიაზმითა და გააზრებულობით იბრძოლებს ამ თრიუმფის  
და განვითარებისათვის. ლაშა უვანია კი განვითარების მიმართ გადაუხადა  
და დღეგრძელობა უსურვა.







მაგალითი იცის იმისა, რომ ამათუმიმ ქვეყნის ხელისუფალთ უზენაესის ნება არაფრად ჩაუგდიათ და აღსდ-გომიან კიდეც? — თუნდაც ბიძლი-ური ამბავი გავიხსენოთ, რომელიც წყლის ორი წვეთივით ჰგავს იმას, რაც მეოცე საუკუნის დასასრულს საბჭოთა იმპერიაში დატრიალდა.

ეგვიპტის ფარაონისა არ იყოს, საბჭოელი ფარაონებიც გაჯიუტდნენ, თუ უზენაესმა ჩააგონათ გაჯიუტება, რომ ბოლომდე დაცემულიყვნენ? მაგრამ მე შედეგით ვმსჯელობ: იმ ტრამპლინიდან, საიდანაც წარსული კარგად ჩანს, ქართველი ებრაელი მაქაბიელები კი მომავალს ქმნიდნენ და მათვის ათასგზის რთული იყო ყველაფერი. ამიტომ მათი საბოლოო გამარჯვების ერთ-ერთ სანინდრად, მათივ გონიერება, წინდახედულება მიმაჩნია. ამ გონიერებას წერილის ტონშიც ამოიკითხავთ. ამდენად ეს წერილი ფარაონებთან მისული ღვთის წებად და ხალხის გონიერების დასტურად მიმაჩნია.

წერილი უდიდესი ტაქტითაა  
დანერილი. დააკვირდით: 18 ქართვე-  
ლი ებრაელის ოჯახი საბჭოთა ხე-  
ლისუფლებას აუგად არ იხსენიებს,  
არც უჩივის, არც — აპეზღებს.  
თუმცალა, ეს იმ დროის ერთ-ერთი  
მახასიათებელია. იმ ქალაქიდან,  
რომელშიც ეს წერილი დაიწერა და  
გაერომი გაიგზავნა — მოსკოვიდან  
— ნიუ-იორქში, ვაშინგტონში, ლონ-  
დონსა თუ პარიზში, ყოველდღიუ-  
რად ათობით წერილი იგზავნება,  
რომლებმიც საბჭოთა კავშირის კო-  
მუნისტურ პარტიას, მის ბელადებს  
სასტიკად ამათრახებენ, დასცი-  
იან — უფიცონასა და დიქტატორულ  
სულისკვეთებაში ამხელენ. რასაკ-  
ვირველია, მათზე სიმართლეს წერენ,  
მაგრამ სწორედ ეს სიმართლეა იმათი  
გამალიზინებელი და თავდაცვის იძ-  
პულისი, ვისაც უჩივიან. გალიზიანე-  
ბას კი მოსდევს რეპრესიები, ციხ-  
ები, კოლონიები, ფსიქიატრიული  
საავადმყოფოები. იმ ეპოქაში ყველა  
სსენებული დაწესებულება, გაივსო  
სიმართლის მოღალადე დასჯილი  
ადამიანებით.

ესენი კი, ჩვენი უაღრესად წინგა-  
ახედული, გონიერი მამები, ძმები ძა-  
ლიან ცივი გონებით მოქმედებენ და  
სულ სხვა გზას ირჩივენ: საპტოეტს  
არ აძაგებენ, მის ბელადებს ქებასაც  
კი ასხამენ, თითქოს მათ არ გადაე-

სახლებინოთ და ციხეებში არ ჩაელ-პოთ ცხინვალელი რაბინები, აგერ, სულ რაღაც 15 წლის წინათ მათ არ დაეხუროთ სინაგოგები, მათ არ დაეხუროთ ებრაელთა ანტიფაშისტური კომიტეტის წევრები გენიალური სოლომონ მიხოლსიც კა არ გაეწიროთ თითქმს.

არა, ჩვენი მამები და ძმები  
ყველაფერ ამაზე თვალს ხუჭავენ.  
დღეს ამის დრო არ არის. მათ დიდი  
მიზანი აქვთ — ისტორიულ სამშობ-  
ლოს უნდა დაუპრუნდნენ — უნდა  
მოიპოვონ ლოცვის, ლვთისმსახ-  
ურების სრული, ყოველი იუდეური  
წეს-ჩვეულების თავისუფლად შეს-  
რულების უფლება, იმის კეთების  
უფლება, რისთვისაც უზენაესმა აირ-  
ჩია, გამოარჩია ებრაელობა. დღეს  
მიზნის მიღწევა მთავარი. კარგად  
იციან: წერილს გაეროს სწერენ, მა-  
გრამ რამდენიმე დღეში გამოჯვეყნ-  
დება და კრემლის ფარაონების ხელთ  
იქნება. ფარაონებთან კი დიდი სი-  
ფრთხილეა საჭირო — ხალხის ანიო-  
კების, ასახლება-გასახლების დიდი  
გამოცდილება აქვთ.

ବିନ୍ଦୁ କୁମାର  
ସିମାରତଳ୍ଲେ?

იქნება, ჩვენი იმედი ჰქონდათ —  
მომავალი თაობის ქართველი ებრა-  
ელობისა — სიმართლეს ისინი იტყ-  
ვიანო. მათ კი გონიერება უნდა  
გამოეჩინათ. სიმართლე სად წავა, სი-  
მართლის თქმა ყოველთვის შეიძლე-  
ბა. ამდენად, 18 ქართველი ებრაელი  
მაქაბიელის გაეროში გაგზავნილმა  
წერილმა თავისი გონივრულობით,  
შორსგახედულობით იმ წლებში  
გაეროსა, თუ დიდი სახელმწიფოების  
დედაქალაქებში გაგზავნილ ყველა  
წირისა, აჯობა.

შემდგები: გი იმ ფაქტმა, რომ ნერილის შექმნის მოთავე შაბთაი ელაშვილი ცდილობდა კრემლი არ გაედიზიანებინა, გარკვეულნილად შედეგიც განაპირობა (გარკვეულწილად-მეტეუ), რადგან არ მავიწყდება და არ შეიძლება თავისი არ მივაგორ დასავლეთის სახელმწიფოების ზენოლას სკუპ პოლიტიკურობები). ასეთი შედეგი თითქოს გარდაუვალიც იყო: რევოლუციონერთა პირველი, ძლიერი, მტკიცე მებრძოლთა თაობა შეუცნობელი სამყაროსაკენ მიმავალ გზას დაადგა — ზოგს დრომ უნია, ზოგსაც თავად კრემლი ბინადრებმა აუღდეს საიქიონსაკენ მიმავალი მატარებლის ბილეთი. პოლიტიკუროს მომდევნო

თაობის წევრები გახლდნენ კლასი-  
კური განათლების არმქონე, თვით-  
ნასწავლი პარტიული მუშაკები, რომ-  
ლებმაც ინტრიგებით, კოლეგების,  
გუშინდელი მეგობრებისადმი ფეხის-  
დადებით გაიკვლიეს გზა პარტიულ  
იერარქიაში.

დასავლეთის ქვეყნების ლი-  
დერები? ამათ განათლება მოსდევ-  
დათ თან, სახელმწიფოს მართვის  
კულტურასაც დაუფლებოდნენ  
და ცხადია, უკიცთ დასძლევდნენ.  
თუ ვცდები, იმედს ვიტოვებ, მაპა-  
ტიებენ, მაგრამ ასე მგონია, კრემლის  
უნიგნურ ბინადარო დასავლეთის იმ  
განათლებული ლიდერებისადმი არა  
მხოლოდ გაღიზიანება და სიძულვი-  
ლი მოსდევდათ, ის რიდიც, რაც ყოვ-  
ელ უნიგნურს წიგნიერების წინაშე  
აშკარად, თუ ფარულად სდევს თან  
ყველა ამ და სხვა გარემოება-

ერთობლიობამ განაპირობა ის, რომ ქართველმა ებრაელებმა რკინის ფარდაში სწორედ საბჭოთას ძლიერების ეპოქაში დიდი კარი ამოქრეს. საბჭოთადან ყოველი გამსვლელი, ამ კარს კიდევ უფრო აფართოებდა, აგანიერებდა. თან ისე გადიოდნენ, კარს არ იხურავდნენ — მათი მომდევნოებისათვის ღიად სტოკებდნენ. აქაც იჩინა თავი ქართველი ებრაელობის ერთმა ჩინებულმა თვისებამ: როცა შენთვის ცდილობ, სხვაც უნდა გახსოვდეს, არ უნდა დაივიწყო ის, რომ სხვასაც სურს სიკეთეს ენიოს, სხვასაც აქვს სურვილები, მისწრაფებები.

ამ ერთხელ ამოქრილ კარში სხვე-  
ბიც გავიდნენ: ზოგი პოლიტბიურომ  
თავად გააძევა, თითქოს თავად ცდი-  
ლობდა საბჭოების მოძულე ინტელე-  
ქტუალებს ქვეყნის გარეთ მოეყარათ  
თავი, რათა იქ მშვიდ ატმოსფეროში  
კარგად გაეზომ-აეწონათ, დაეგეგ-  
მათ ის, რაც ორი ათეული წლის მერე  
მოხდა — ქვეყნიერების მომრევი,  
მოძალადე თავად იქნა დანელებული,  
ძლიული.

ქართველი ებრაელების მიერ რკინის ფარდაში ამოწრილ კარებში გასულმა ადამიანებმა, იქნებოდნენ ესენი რუსები, ბალტიისპირელები თუ სხვადასხვა რესპუბლიკებში მცხოვრები ებრაელები, ძალიან კარგად იცოდნენ ბოლშევიკთა საუფლოში რა როგორ კეთდებოდა — ნემს-მახათით დაწყებული, რაკეტებითა და ატომური ბომბით დამთავრებ-

ული. თავადვე მონაწილეობდნენ ნებს-მახათისა, თუ ატომური ბომბის დამზადებაში. ამ ხალხმა შესანიშნავად იცოდა ის, თუ რა ასულდგბულებდა იმპერიას. წავიდნენ და თან გაიყოლეს არა მხოლოდ მიღებული ცოდნა-გამოცდილების მადლი, საბჭოების არსებობის ტექნოლოგიური საიდუმლოებანი. ამათმა ამგვარმა განრიდებამ კი საბჭოების უკუსვლასა და ბოლოს, დანელებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. ამ ეპოქაში საბჭოები დამსგავსებოდა ცოცხზე შემომჯდარ ნატერისთვალის მაძიელ ჯადოქარს, რომელმაც არ უწყის, რომ ნატერისთვალი უკვე სხვათა ხელშია და ამათი ხვედრი მხოლოდ ცოცხზე შემოჯდომა და მინაზე ჩაქრია იყო.

ზემოთ ნათქვამი ისე არავინ  
გამიგოს, თითქოს ვცდილობდე  
ვამტკიცო, რომ საბჭოთა კავშირი  
18 ქართველი ებრაელის წერილმა  
დაშალა. ცხადია, მას ბოლო ათას-  
მა ცოდვამ და გამოვლენილმა, თუ  
გამოუვლენებლმა შეცდომამ მოუღო,  
იმას კი დაბეჯითებით ვიტყვი, რომ  
ქართველ ებრაელთა მიერ რეინის  
ფარდაში ამოჭრილი კარი კრემლის  
ფარაონებისათვის ის იყო, რაც მოსეს  
ხუთინგნეულის „გამოსვლათა“ -ში  
მოყვანილი ათი სახეობა სასჯელისა.  
უბრალოდ, დრომ შეცვალა დასჯის  
სახეობები, ფორმა. ამ კარში გავიდ-  
ნენ საბჭოელი „სხვაგვარადმოაზ-  
როვნენი“, მოგვიანებით საბჭოურ  
სივრცეში ამ კარით შემოაბიჯა აშშ  
პრეზიდენტმა რეიგანმა .

თუ იმასაც ვივარაუდებთ, რომ წერილი რუსმა ეპრაელმა ადვოკატებმა შეადგინეს, არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი: პროცესს ეპრაელებმა(ც) დაუდეს სათავე, რითაც მე-20 საუკუნის რუსეთის ისტორიაში მეორედ ითამაშეს გადამწყვეტი როლი. ამ მეორე შემთხვევას არა დამცირებულთა, ნიკოლოზ მეორის ანტისემიტური კანონებით შეურახებულითა შეურისძიება ედო საფუძვლად, არა აქედ ჰუმანიზმის, ჯერ ისტორიული სამშობლოს ძლიერი განცდა, მოშერაბეინუს მცნებებისადმი სრული ერულებისაკენ და დემოკრატიზაციისაკენ სწრაფვა. ამითაც გახლდათ წინააღმდეგმული ნაბიჯი.

ପ୍ରକାଶକ ନାମ

ბესო მიხელაშვილმა კარგ სახელსა და შთამომავლობასთან ერთად, ქართველი ებრაელობის ყოფის ჩინებული სურათებიც დაგვიტოვა

შესრულდა 11 თვე საქართველოს ებრაელობაში გამორჩეული პიროვნების — ბესო მიხელაშვილის გარდაცვალებიდან. ქართველ ებრაელთა ტრადიციის მიხედვით, ოჯახმა ეს თარიღი სათანადო რიტუალით აღნიშნა. ამ თარიღთან დაკავშირებით გამოვიდა უხვად ილუსტრირებული კრებული „ერთადერთი. ბესო შიხ-ელაშვილი“ წიგნი რამდენიმე ნაწილისაგან შეათვაծა:

ამ წიგნის გამოცემის აუცილებლობა  
მისმა პირველმა ნაწილმა განაპირობა.  
აუცილებლობად მიიჩნევა ქართველი  
ებრაელობის მომავალ თაობებს გადაე-  
ნახოს ძესო მიხელაშვილის ნაწერები.  
ანგანსვენებულმა სიცოცხლის ბოლო  
ათწლეულებში უმეტესწილად საქართ-  
ველობის გამომავალ ებრაული თემა-  
ტიკის გაზეთში „მენორა“ გამოაქვეყნა  
ქართველი ებრაელობის გარდასული  
ყოფის ამსახველი ერთობ საინტერესო  
და საჭირო ხარვევები, მოგონებები.  
ჯერ „ენორაში“ დაბატიდილი, შე-  
დეგ კარგ დონეზე გამოცემულ წიგნში  
შესული ეს ნაკრევები, მოგონებები  
მეითხველ დაარმმუნებებს, თუ რაოდენ  
ფართო მასტების პიროვნება გახ-  
ლდათ ძესო მიხელაშვილი. მისი მოლ-  
ვანეობის ამპლიტუდა ფართო იყო და  
დაგვანახა: ჩვენი ერის გამორჩეული  
შვილების მისწრაფება საზოგადოე-

ბრივი ინტერესებით ცხოვრებისა.  
ბესო მიხელაშვილის შემთხვევაში ეს  
იმით გამოვლინდა, რომ მომავალ თაო-  
ბებს ერთობ ხატოვანად გადასცა ჩვენი  
ნარსულის სურათები...

„მენორა“ მეგობრობდა ბესო მიხ-  
ელაშვილთან, ვიცოდით იმის ფასი,  
რასაც აკეთებდა და დღეს სინაცულსაც  
განვიცდით იმის გამო, რომ მეტს არ  
ვთხოვდით, უფრო მეტად არ ვაქეზე-  
ბდით ყოფილიყო უფრო ნაყოფერო,  
თუმცა, იმის ფიქრიც გვდევს თან, რომ  
მეტი შეუძლებელი გაბლდათ, რადგან  
ბესო მიხელაშვილი კი არ თხზავდა,  
იგი აღწერდა, გადმოგვცემდა იმას,  
რაც სიყმანვილის წლებიდან ენახა და  
განეჩადა.

ასევა თუ ისეა, დღეს ჩვენ ხელ-  
თა გვაქვს ქართველ ებრაელთა  
ცხოვრების საინტერესო სურათები. არა ვგონებთ ხმამალლა განცხადებად  
ჩაგვეთვალოს: არა ვგონებთ ქართ-  
ველ ებრაელთა ისტორიის მეოცე საუ-  
კუნის მეორე ნახევრის ნაწილი ძესო  
მიხელაშვილის ნაკეცვების, მოგონე-  
ბების გარეშე დაინტერესო. ხომ არც  
ისტორიკოსი იყო, არც-ფილოლოგი,  
მაგრამ სიცოცხლის ბოლო წლებში,  
ისრაელს გადასახლების შემდეგ, ერთი  
ეთნოგრაფის გასაკეთებელი საქმე  
უთუოდ გააკეთა. მისი მემუარული  
მიზანით კარგ მასალას იძლევა

მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ებრაელობის რელიგიური საზოგადოებრივი ცხოვრების გასაშუალებად.

ნებისმიერ წელში შესავალ ნაწილში იქმნება ისრაელსა და დასპორაში ქართველ ეპრაელთა მთავარი რაბინის იაკობ გაგულაშვილის „დღი კაცი გიგანტებში“, რაბინ ელიაზე მიხელაშვილის „უფლის სანთელი ადამიანის სულია“ მწერლისა და დრამატურგის გურამ ბათიაშვილის „ის კაცი იყო, ვით შეჰვივრის ჯავას კარიბა.“

მეორე თავში „ბესო მიხელაშვილის გახსნიბა“ იბეჭდება: **ნორა სე-**

ვილო-სარელის, რომან შალოლას, შაბთაი ცურის, შალომ დავიდის, იოსებ ბარდანაშვილის, რევუენ ენოხის, შოთა გორგოძის, ზინა ჩა-ჩანაშვილის, თემურ ჩაჩანაშვილის, ზაზა წვერიანაშვილის, შოთა კეტ-აშვილის, ნოდარ გაგულაშვილის, ნათელა საპირ-კეტაშვილის, ნანა ბებ-მორდეხაი-კაკიაშვილის, იოსებ შაშუაშვილის, თენგიზ მიხელაშვილის, მამუკა დოლიშის, დავით ალო-

ნის ნერილები, მოგონებები.  
ცალკე განყოფილება ეთმობა ბუ-  
დაპეტიის დიდ სინაგოგაში ბესა მიხ-  
ელაშვილის სულას მოსახსენიებლად,  
ბესოს ძმის — ისაკისა და ძმისშვილის  
— შაბთა მიხელების მირ სეფერ-  
თორის შეპრძანების ცერემონიას.

ნიგნი გამოსაცემად მოამზადა,  
კომპიუტერული სამუშაო, დიზაინზე  
და ფოტოკოლუსტრაციაზე იზრუნა და  
მაღალპოლიგრაფიულ დონეზე გამო-  
საცემად შრომა გასწინა ლევან აჯიაძ-  
ვიომა.



## მოძავლისათვის...

2018 წლის ოქტომბერში ხელი მოეწერა ისრაელის საშემსრულებლო ხელოვნების სტუდიასა და საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მემორიალუმზე. ამ რომა თეატრალური სკოლის შეთანხმების თანახმად, განისაზღვრა თანამშრომლობის შემდეგი პრიორიტეტები: სნავლების მეთოდოლოგიების გაცნობა, მასტერულასებისა და ვორქშოფების ჩატარება, სტუდენტური სპექტაკლების გაცვლა, კორპორაციის შექმნა, თანამედროვე ქართველი და ებრაელი დრამატურგების პიესების გაცვლა და მათი განხორციელება.

ა.წ. 10-16 აპრილს საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ისრაელის იორამ ლოვენშტაინის საშემსრულებლო სტუდიას შორის გაფორმებული კულტურის ხელშეწყობის და ურთიერთთანამშრომლობის მემორიალუმის ფარგლებში, განხორციელდა გაცვლითი პროგრამის პირველი ეტაპი. თანამშრომლობის პროგრამის პირველი ეტაპი ითვალისწინებდა კოპროდუქციის შექმნას. თეატრალური პროდუქციის შესაქმნელად შეირჩა კინესიას და მირინეს სცენა არისტოფანეს ცნობილი პიესიდან „ლისისტრატე“. საქართველოს მხრიდან პროექტში მონაწილეობდნენ უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი გოგი მარგველაშვილი, დრამის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი გორგი შალუტაშვილი, დრამის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი მარინა ხარატიშვილი, ასისტენტი თათა თავდიშვილი, დრამისა და კინოს მსახიობის სპეციალობის მესამე კურსის სტუდენტები (პროფესორ გოგი მარგველაშვილის ჯგუფი): ნინო ლორთქიფანიძე, ანა გვანცელაძე, ანი ზენაშვილი, გვივი ბალანჩივაძე, ირაკლი ჩხითვაძე. ისრაელის მხრიდან პროექტში იორამ ლოვენშტაინის საშემსრულებლო ხელოვნების სკოლის აღსაზრდებები მონაწილეობდნენ. პროექტის პრეზენტაცია, რომელიც თელ-ავივში შედგა, ორივე სკოლას ნინასანარქერჩული სცენის თეატრალური ინტერპრეტაციის საკუთარი ვერსიები წარმოადგინა.

პრეზენტაციის შემდეგ, კენჭისყრის შედეგად დაკომპლექტდა პროექტი მონაწილე მსახიობებისა და რეჟისორების შერეული ჯგუფები. სამი დღის ინტენსიური რეჟეტიციების შედეგად, ორივე სამსახიობო სკოლამ ლისისტრატეს პიესის იგივე სცენის სხვადასხვა თეატრალური ვერსია მოამზადა, შექმნილი კოპროდუქცია თითოეულმა მისთვის უცნობ ენაზე წარმოადგინა.

რეჟეტიციები როტულ და იმავდროულად ხალისიან ატმოსფეროში წარიმართა. ვინაიდან პარტნიორებს ერთმანეთის ენა არ ესმიოდათ, ისინი მხოლოდ ტექსტის იმედად ვერ იქნებოდნენ და ამიტომ ცდილობდნენ მოქმედების ენაზე გადასულიყვნენ და ამ გზით აგერინებდნენ პარტნიორს სასცენო ქმედების არსებობა.

მოცემული პროექტი უდავოდ საინტერესო და მნიშვნელოვან გამოცდილებად იქცა ორივე სამსახიობო სკოლისთვის. მან განსაკუთრებულ ვითარებაში ჩააყენა შემოქმედებითი ჯგუფები. შედეგი ძალზე მოკლე დროში, რეალურად 4-5 რეჟეტიციის შემდეგ უნდა წარმოედგინათ, რაც შემოქმედებითი რესურსის მაქსიმალურ კონცენტრაციას მოითხოვდა, ამასთანავე გამორიცხავდა სასწავლო მემორქმედებითი პროცესის ჩვეულებული განვითარების საშუალებას, მსახიობებას და რეჟისორსა და იქცევებულს ხდიდა გარკვეულ სქემებში ემუშავათ. ეს მოცემულობა

ნაკლებ დროს ტოვებდა იმპროვიზაციისთვის, შემოქმედებითი ექსპერიმენტებისთვის, თუმცა თავის მხრივ ამ ტიპის პროექტში მონაწილეობა გარკვეულ-ნილად თავისებურ ექსპერიმენტს წარმოადგენდა.

„ამ პროექტში მეც, როგორც პედა-გოგი, ექსტრემალურ სიტუაციაში მომაქცია. როგორც რეჟისორს, მესტუდენტებისთვის უნდა ამესხსნა ამბის განვითარების ამოცანა, ამავე დროს უნდა მეპოვა უმარტივესი გზა თუ რა ფირმით, რა სახით უნდა ყოფილიყო მიღწეული სასურველი შედეგი. გულწრფელად ვალიარებ, რომ ეს არცთუ იოლი აღმოჩნდა და ძალზე

ვადასხვა სოციალურ პროგრამებში, სკოლაშივე მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას ისინი სხვადასხვა სოციალური ჯგუფისა თუ ფენის ადამიანებს უზიარებენ (მათ შორის აუტიზმით დაავადებულებს, შმი პირებს, სოციალურად დაუცველ ადამიანებს და ა.შ.). შესაბამისად, სწავლების პერიოდშივე ხდება სტუდენტების დასაქმებება და ამ საქმიანობისათვის სხვადასხვა მნიშვნელობის მინიჭება. ძალზე ნიშანდობივია ის ფაქტიც, რომ სკოლა ქალაქის პრესტიული განვითარებული რაონბში კი არ არის განთავსებული, არამედ იმ უბანში, რომელიც ნაციონალური სიტუაციით, სოციალურად დაუცველი ადამიანების სიმრავლით, კულტურული ცხოვრების დეფიციტით გამოირჩევა. სამსახიობო სკოლის ამ კონკრეტულ ტერიტორიაზე არსებობა სწორედ ამ დეფიციტის და სოციალური უთანასწორობის დამლევის გარკვეულ გამოცდილებას შედგა, შესაბამისად, უკვე პირველი გამოცდილებაც მივიღეთ. ახლ პროექტის შედეგის უნდა დაგვეკირდეთ.

— კარგი პროექტია, ვფიქრობ, პრესეპტიულიც. ამ პროექტის განვითარებას სისტემატური ფინანსური რესურსი დასჭირდება. პროექტი საინტერესოა პროფესიული თვალსაზრისითაც, რადგან სტუდენტებს გარკვეულ გამოცდილებას შედგა, შესაბამისად, უკვე პირველი გამოცდილებაც მივიღეთ. ახლ პროექტის შემდგომ ეტაპებს უნდა დაგვეკირდეთ.

ამ ტიპის პროექტი პროექტი არ ისახელოვნებო სასწავლებლის სამომავლო თანამშრომლობის ახალ პერსპექტივებს ქმნის, იგი უდავოდ შეუწყობს ხელს ერთობლივი შემოქმედებითი გეგმების განხორციელებას, საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი სტუდენტების დამკვიდრებას. სასურველი და მიზანშენილია ამ სკოლების სხვადასხვა მიმართულებით თანამშრომლობა, ამასთან განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს სტუდენტთა პროფესიულ განვითარებაზე, ვედაგოგების სტუდენტების თანამშრობლივი განვითარების თანამშრობის თანამშრობლივი განვითარებაზე, მას ასეთი კონკრეტული მიზნის მისაღვანებლად, სწორად არის ნარმარტული. სკოლის მესამე კურსირი, რომელიც უზრუნველყოლი ასეთი განვითარებითი, ასევე უარყოფითი მხრივ გადადებითი, ასევე უარყოფითი მხრივებითი, სახადის საუბარში თათა თავდიშვილმა.

მის მნიშვნელობას, სცდება პედაგოგიური და საგანმანათლებლო ორგანიზაციის მასშტაბში.

თათა თავდიშვილი მის მნიშვნელობის საუბარში თათა თავდიშვილმა. მიუხედავად პროექტის განვითარებაზე ამოცანაზე თუ მზა თეატრალური პროდუქტის - ნაწყვეტის ჩვენებისას, სავსებით მკაფიოდ გამოჩენდა ჩვენს ორ სამსახიობო სკოლაში არსებული სწავლების დონე და ხარისხი, სანავლების მეთოდოლოგიის როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მზის მისაღვანებლად, სწორად არის ნარმარტული. სკოლის მესამე კურსირი, რომელიც უზრუნველყოლი ასეთი განვითარების თანამშრობლივი განვითარებაზე, მას ასეთი კონკრეტული მიზნის მისაღვანებლად, მასახიობის სატერკოლაბის დირითადი მოდულის დისკიპლინებში, რაც უდავოდ საინტერესო შედეგს მოგვცემს.

პროექტის ყოველი ახალი ეტაპი, ნინა შეხვედრებაზე შედარებით, ნინ გადადგმული ნაბიჯი უნდა გახდეს.

ამიტომ, ზოგადად აუცილებელია ამ პროექტის დადებითი მხარეების შენარჩუნება და სასწავლო - აღმზრდებელი ერთობლივი მასტერკულასების და პრატიკული კონკრეტული გორების ჩატარებაზე. მიზანშენილია მასტერკულასების ჩატარების მისაღვანებლად, სწორად არის ნარმარტული. სკოლის მესამე კურსირი, რომელიც უზრუნველყოლი ასეთი განვითარების თანამშრობლივი განვითარებაზე, მას ასეთი კონკრეტული მიზნის მისაღვანებლად, მასახიობის სატერკოლაბის დირითადი მოდულის დისკიპლინებში, რაც უდავოდ საინტერესო შედეგს მოგვცემს.

დღეს უკვე სავსებით ცხადია, რომ ტიპის პროექტები ხელს უწყობს სოციალური აქტივობისა და შემოქმედებითი თავისუფლების სრულფასოვან გარემოს უქმნიან. ეს პროცესი სტუდენტებს უვითარებს კონკრეტულ უნარს და უპირველეს ყოვლისა, ნებისყოფა, კონცენტრაციას, ურთიერთდამოკიდებულებებს, არსებობას და მოქმედებას ექსტრემალურ სიტუაციაში. ყოველივე ეს ხელს უწყობს პროფესიული თვისებების განვითარებას.

სწორედ ამგვარი სასწავლო - აღმზრდებელი მიზანის შედეგია ის, რომ ამ სკოლის აღსაზრდებები უკვე და მოქმედებას ექსტრემალურ სიტუაციაში. ყოველივე ეს ხელს უწყობს პროფესიული თვისებების განვითარებას.

სწორედ ამგვარი სასწავლო - აღმზრდებელი მიზანის შედეგია ის,


რომ ამ სკოლის აღსაზრდებები უკვე და მოქმედებას ექსტრემალურ სიტუაციაში. ყოველივე ეს ხელს უწყობს პროფესიული თვისებების განვითარებას.

2019 წლის 7 ივნისს ისრაელის იორამ ლოვე



## ვ უ ლ ო ც ა ვ თ !

გერმანიაში კარგად ცნობილი ქალაქ ახენის „კუვენ გიმნაზიის“ წარჩინებული მოსწავლე შტეფანი — სიფორა ბოთერაშვილი — თავის ბათმიცვას თბილისში აღნიშნავს — მოინახულებს მშობლების, ბებიებისა და ბაბუების ბავშვობისა და სიყრმის ქვეყანასა და მის დედაქალაქს, თბილისში დალოცავენ მისი ცხოვრების გზას, უსურვებენ ლირსეულ, წარმატებულ სწავლა-დაოჯახებას. ებრაელი გოგონებისათვის ბათ მიცვის შემდეგ იწყება ცხოვრების დიდი გზა. დაე, შტეფანის ისევე ლირსეულად გაევლოს ეს გზა, როგორც მისმა მშობლებმა, წინაპრებმა გაიარეს. ლეხაიმ, შტეფანი!



## საბერძნეთში ქალაქის მერი — ებრაელი

გაიმართა სააბერძნეთის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ქალაქ იანინას მერის არჩევნების მეორე ტური. მოშეელიზაფმა ხმათა 50.33% მოაგროვა, მისმა მონინააღმდეგებ კი 49.67%. ადგილობრივმა გაზეთმა აღნიშნა რომ საბერძნეთში ქალაქის მერად ებრაელი პირველად აირჩიეს. ამ ქალაქის მოსახლეობა 57.000 მოსახლეს ითვლის.

მოშეელიზაფმა მედიცინის პროფესორია, ასნავლის ამ ქალაქის უნივერსიტეტში, 17 წლის განმავლობაში გახლდათ ამ ქალაქის ებრაელი თემის ხელმძღვანელი. საერთოდ, საბერძნეთში 5000 ებრაელია.

## ჰოლოკოსტზე უემილი ფილმის დაჯილდოება

მოსკოვის თეატრში „რუსული სიმღერა“ გაიმართა რუსეთის ეროვნული კინოპრემიის „ნიკას“ გადაცემის ცერემონიალი.

მთავარ ნომინაციაში „საუკეთესო ფილმი“ პრემია „ნიკა“ მიენიჭა ალექსეი ფედორჩუკის ფილმს „ანას ომი“ მიმდინარე წლის იანგარში ამ ფილმმა ასევე მიიღო კინოპრემია „ოქროს არწივი“.

„ანას ომი“ გვიამბობს მასიური დახვრეტებისას გადარჩენილი ებრაელი გოგონას ბედზე, რომელიც ორი წელი გერმანელების კომენდატურის ბურის მიღწი იმაღლებოდა. ებრაელი გოგონა — ანას როლის შემსრულებელ მართა კოზლოვას პრემია მიენიჭა ნომინაციაში „ქალის როლის საუკეთესოდ შემსრულებელი“.

გაზეთ „მენორას“ რედაქტორია მკითხველა აუნიკებს, რომ ნიუიორკში გარდაიცვალა კინოკრიტიკოს მთარ სეფიაშვილის ქვრივი, ებრაელი მოღვანის — ილია პაპისმედოვის ასული



### სიგალი

#### აკადემიური-საფილისა

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

#### დამუშავებელი და

#### გამოცემელი:

გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე  
თბილისი, ლეონიძის 11<sup>ა</sup>,

ტელეფონი: 299.90.96, 277.20.57

## ოთარ აჯიაშვილის ხსოვნას

ერთობ თავმდაბალი და მოკრძლებულიც კი, ყოველი სიტყვის ფრთხილად, დაკვირვებით ამომტქმელი, თუმც ფაქტიურად დუმილით მეტყველი, ძარღამ საჯამაათო საქმისას აქტიური, შეუყოვნებელი, ხოლო ჩვენთვის — ხათესავ-ახლობლებისათვის მუდამ გამრჯე, გვერდში ამომდგომი, ლხინის გამზიარებული და უამობის უამსტკივილის მომშუშებელი, ოჯახის დიდად მოყვარული, მისთვის თავდადებული, ორი კარგი შვილის აღმზრდელი და შვილიშვილების სიხარულით შემყურე.

ასეთი იყო ოთარ აჯიაშვილი — ჩვენი სისხლი და ხორცი, ზრდილი და ცხოვრების ჭაპანის უხმოდ მზიდავი. სხვას არ შეანუხებდა, მოირიდებდა, თავად კი ყოველთვის მზად იყო ნებისმიერი სამსახური გაენია ნათესავ-ახლობლების, შეგობარამზანაგებისათვის.

ოთარი თავისი ცხოვრების წესით, ყოველდღიურობაში — ლხინსა თუ ჭირში — გამოვლენილი თვისებებით ასხივონ-სებდა ჩვენი დიდი ბაბუის — ფილხაზ აჯიაშვილის, რომლის მიერ ბანძში აგებულ პირველ ორსართულიან სახლშიც დაიბადა, რომლის მიერაც მოინათლა და შეუერთდა, გახდა ნაწილი ებრაელი ერისა, სახელსა და ლირსებას. ცდილობდა ყოფილიყო აჯიაშვილთა ღირსეული ნაწილი. შესძლო კიდეც — ამ ქვეყნიდან ისე ხავიდა, ამ ჩვენს აბურდულ დროს, ტკბილმწარე წუთისოფელს ისე გაეცალა, მომდურავი არ დატოვა — ადამიანზე აუგი არ უთქვას — ან კარგი, ან დუმილი, ზოგჯერ — მრავლისმთქმელი ღიმილი.

ვიდრე თბილისში იყო, ამ ქალაქის ჯამაათის განუყრელი ნაწილად გვევლინებოდა — შისი ყოველი საქმიანობის გვერდში ძდგომად, ისრაელ წაული იქაურობას შეეძატა.

ოთარ აჯიაშვილი 85 წლისა გაეცალა წუთისოფელს — ნავიდა იქ, სადაც მართალი, ჯამაათის მოყვარულ-მოამაგენი ჰებოვებენ სამუდამო განსასვენებელს.

მშვიდობით, ჩვენო საყვარელო ოთარ!

**აჯიაშვილი ფილხაზ ბათიაშვილი გურამ,**  
**ბათიაშვილი-ნინუაშვილისა ნათელა,**  
**ბოთერაშვილი შალვა,**  
**იზრაელაშვილი-სარელი მერაბ,**  
**იხრაელაშვილი შერი.**

მმები: სოსო აჯიაშვილი (თბილისი), გენო აჯიაშვილი (ისრაელი, ქსულონი), და მანო აჯიაშვილი (კანადა, ტორონტო). გულისტკივილით იუნიკებიან ბავშვობის, ყმანვილკაცობის მეგობის, კეთილშობილობითა და ებრაული სულისკვეთებით გაძორჩეული

გარდაცვალებას.

## ოთარ აჯიაშვილის

#### რეგისტრირებული გურამი

#### ათავსობის მთავრობის

#### რაიონის სასამართლოს

ათენ.

რეგისტრაციის № 4/1-921

#### რედაქტორი

#### გურამ ბათიაშვილი

ISSN 1987-8982 UAC 070 411.16

გ-557

